საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *არჩილ კოჭლამაზაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**16**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**2**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

სახელი, გვარი: გიორგი გზოგბავა

თარიღი: 19.07.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„19“ ივლისი, 2024 წელი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **არჩილ კოჭლამაზაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, წარსადგენი კანდიდატის შესარჩევად.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულების შესაბამისად, წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **არჩილ კოჭლამაზაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 17 ივლისს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **არჩილ კოჭლამაზაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, **არჩილ კოჭლამაზაშვილი** (როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი), შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

არჩილ კოჭლამაზაშვილი გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, პატიოსნებით, პრინციპულობით და მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საბანკო, საბიუჯეტო ან სხვა დავალიანების გადახდა და სხვ.) იგი ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები **არჩილ კოჭლამაზაშვილის** პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **<u>არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია). **არჩილ კოჭლამაზაშვილი** იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის მსმენელი. ჯგუფში დაიკავა მეთორმეტე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში - 50-ე.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 18 (მაქსიმალური ქულა 20).

2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

არჩილ კოჭლამაზაშვილს აქვს მნიშვნელოვანი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის, თითქმის, ოთხწლიანი გამოცდილება. ამასთან, კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარი. შეუძლია სამართლის არაერთ სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა გასაუბრებაზე სამართლებრივი დასაბუთების კუთხით დატოვა უაღრესად დადებითი შთაბეჭდილება, კომპეტენციის ნაწილში მისი შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი სამოსამართლო საქმიანობის არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდი, რაც სამწუხაროდ, ერთიანობაში ასახული იქნება მოცემული კრიტერიუმებით მისი შეფასების საბოლოო შედეგზე.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 16 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.3. წერის უნარი</u>

არჩილ კოჭლამაზაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმა და მსჯელობისას აზრის თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემა. მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

მის მიერ შედგენილ წერილობით დოკუმენტებში ნათლად და ადვილად იკითხება დოკუმენტის ძირითადი შინაარსი, ნაკლებად ხმარობს რთულ წინადადებებს, ზედმიწევნით სწორად და საგნობრივად იყენებს სამართლებრივ ნორმებს და სამართლებრივი ნორმების ანალიზს, რაც ამ დოკუმენტების მკითხველს საშუალებას აძლევს სწორად და მარტივად აღიქვას მათში განხილული სამართლებრივი საკითხები. შესწავლილ დოკუმენტებში რაიმე მნიშვნელოვანი ან თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა, რაც გავლენას იქონიებდა დოკუმენტის შინაარსზე, ან სწორად გაგებაზე, გამოვლენილი არ ყოფილა.

<u>დასკვნა:</u> წერის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

საჯარო მოსმენაზე **არჩილ კოჭლამაზაშვილი** იყო საკმაოდ მობილიზებული, მსჯელობდა არგუმენტირებულად, საკუთარ შეხედულებებს გადმოსცემდა ნათლად და გასაგებად. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს გააჩნია სხვისი მოსაზრების მშვიდად და მოთმინებით მოსმენის უნარი. გასაუბრებისას იგი დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად და გასაგებად.

<u>დასკვნა:</u> ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში)</u>

რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმის ერთ-ერთ მახასიათებელს, როგორიცაა პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში, უნდა აღინიშნოს, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, გააჩნია დროის სწორად განაწილებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

2021 წლის ივლისიდან - 2024 წლის ივლისამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 95,9%, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი კი შეადგენს - 82,4%-ს.

სასამართლო დარბაზში საქმის განხილვისას კანდიდატი არის მობილიზებული, მშვიდი, ნათლად და გასაგებად გადმოსცემს საკუთარ აზრს, აძლევს მხარეებს პოზიციების წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობებს, არის ნეიტრალური და სტრესულ სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

არჩილ კოჭლამაზაშვილი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (2009 წლის 5 დეკემბერს).

იუსტიციის უმაღლესი სკოლა:

- არჩილ კოჭლამაზაშვილი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის მსმენელი. ჯგუფში დაიკავა მეთორმეტე ადგილი; საერთო საკვალიფიკაციო სიაში - 50-ე.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

<u>2.7. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **არჩილ კოჭლამაზაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრაში, კერძოდ:

<u>არჩილ კოჭლამაზაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>

- 2021 წლის 15-16 ივნისი, კახეთი (წინანდალი), საქპატენტისა და ევროკავშირი საქართველოსთვის ორგანიზებით დაგეგმილი ფორუმი - „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ";
- 2022 წლის 26 ივნისი, თბილისი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სემინარი - „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - სამოქალაქო/ ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება";
- 2022 წლის 30-31 ივლისი, ბათუმი, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით გამართული სემინარი - „ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფის საკითხები";
- 2022 წლის 11-12 ნოემბერი, ქ. ბორჯომი, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) ევროკავშირის საერთო სასამართლოსა (GCEU) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების სააპელაციო საბჭოს (EUIPO BOA) გადაწყვეტილების საფუძველზე, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი კრებულის პრეზენტაცია;
- 2022 წლის 1-3 დეკემბერი, თბილისი, „ბიზნესის რეაბილიტაციისა და გადახდისუუნარობის პრაქტიკოსთა ასოციაციის" (BRIPA) მიერ ახალი გადახდისუუნარობის კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე გამართული სამუშაო შეხვედრა;
- 2023 წლის 1-2 აპრილი, ახალციხე (სასტუმრო „რაბათი ჯინო ველნესი"), ევროპის საბჭოს ოფისთან (CoE) თანამშრომლობით ევროპის სოციალურ ქარტიასთან დაკავშირებით მოსამართლეებისათვის დაგეგმილი სემინარი;
- 2023 წლის 28-30 ივნისი, კომპლექსი ლოპოტა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა;
- 2023 წლის 15-16 ივლისი, კახეთი (სასტუმრო „ლოპოტას ტბა"), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის" (GIAC) ორგანიზებითა და აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა - „ინფრასტრუქტურული პროექტებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების - დავების გადაწყვეტის მექანიზმების სპეციფიკა - ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივები";
- 2023 წლის 24-28 სექტემბერი, ამსტერდამი (ჰოლანდია), ევროპის საბჭოს (CoE) პროექტის „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში მედიაციასთან დაკავშირებით დაგეგმილი სასწავლო ვიზიტი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **არჩილ კოჭლამაზაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **<u>არჩილ კოჭლამაზაშვილი სრულად აკმაყოფილებს</u>** "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>88</u>** (ოთხმოცდა რვა) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი